

# ხალხის მანდატი სამინისტროში და თავიდან საარჩევნო მაჟორიტარები

## თეა ზიზივაძე

საქართველოს სამ საარჩევნო ოლქში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ასარჩევად, კენჭისყრა განმეორებით უნდა ჩატარდეს.

მაჟორიტარი დეპუტატების ხელახალი არჩევნები თბილისში - ნაძალადევის საარჩევნო ოლქში და ასევე, იმერეთის ორი რაიონის - სამტრედიის და ბაღდათის საარჩევნო ოლქებში ჩატარდება.

გამეორებითი არჩევნების ჩატარების მიზეზი კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც ზემოთ აღნიშნულ ოლქებში გამარჯვებული კანდიდატები მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში დასახელდნენ.

ბიძინა ივანიშვილმა ნაძალადევის მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული თეა ზიზივაძე დასაჯული იუსტიციის მინისტრად, სამტრედიის მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული კახი კალაძე - რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად, ბაღდათის არჩევნებში გამარჯვებული არჩილ კვიციანი კი გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშნა.

რამდენად გამართლებულია გზა არის აჩვენებში გამარჯვებული დეპუტატის გადახაცვლება მინისტრის პოსტზე, მაშინ, როდესაც ის უკვე ხალხის რჩეულია, როგორც დეპუტატი? ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია თვლის, რომ მორალური თვალსაზრისით, ალბათ, არ შეიძლება დადებითად შეფასდეს მიღებული გადაწყვეტილება, არც საზოგადოების მიმართ და არც კანდიდატის მიმართ.

„მაჟორიტარი დეპუტატი, ეს არის პიროვნება, რომელიც საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის მიერ არის წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში და არის კონკრეტული პირი, რომლის მიმართაც გამოხატულია თანადგომა. ამ მხრივ, მორალური თვალსაზრისით, ალბათ არ შეიძლება დადებითად შეფასდეს არც საზოგადოების მიმართ და არც კანდიდატის მიმართ ის, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერა ბუტაფორიას ემსგავსება და არა კონკრეტული პირის მი-

მართ მხარდაჭერას.

მოქალაქეები ამ მხარდაჭერით გამოხატავენ რომელიც კონკრეტული უბნის თუ ოლქის მხრიდან მხარდაჭერას, როგორც საკუთარი წარმომადგენლის მიმართ და არა სხვის მიმართ. ამიტომ, საზოგადოებამ არ უნდა იგრძნოს თავი, რომ მისი მხარდაჭერა გამოყენებული იქნა არა საზოგადოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ კორპორატიული ანუ პარტიული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად,“ - მიაჩნია არჩილ გამზარდიას.

თუმცა, საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი მეორე გარემოებაზე - ქართული არჩევნების თავისებურებაზეც მიაჩნებს, „რომლის მიხედვითაც ხმა მიეცა არა კონკრეტულ პირებს, არამედ კოალიციას და შესაბამისად, პირებს, როგორც პარტიულ წარმომადგენლებს. მრავალი სპეციალისტის მოსაზრებაა, რომ არჩევნების მაჟორიტარული ნაწილი არ იყო საზოგადოებისათვის მინიციდამინცი ინტერესის სფერო. ხალხმა მხარდაჭერა გამოხატა ე.წ. კოალიციის და უფრო მეტიც, მისი ლიდერის მიმართ. ამიტომ ამ წარმომადგენლებმა უფრო „ტექნიკური“ ფუნქცია შეიძინეს და შესაბამისად, ამ თავისებურების გათვალისწინებით, უკვე მისაღებ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი როტაცია ახალი ხელისუფლების წევრებისა. როგორც არა კონკრეტული პიროვნებების, არამედ, როგორც წარმომადგენლობითი მარჯვებისა,“ - ამბობს არჩილ გამზარდია.

როგორ მიიღებს საზოგადოება მის მიერ რჩეული დეპუტატის მინისტრთა კაბინეტში გადახაცვლებას და როგორი იქნება ხალხის არჩევანი მაჟორიტარული არჩევნების განმეორებით ტურზე, ეს უახლოეს პერიოდში გამოჩნდება.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მაჟორიტარული ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები ჩატარდება. შუალედური არჩევნების თარიღს ცესკო ადგენს. განმეორებითი არჩევნები მაჟორიტარულ ოლქებში ორი თვის შემდეგ უნდა გაიმართოს.

# საჩივრებში ასახული დარღვევები და



ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ 20-მდე საჩივარი განიხილა

## თეა ზიზივაძე

ტექნიკური და პროცედურული დარღვევები, მოთხოვნა კომისიის წევრების დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და თვით საარჩევნო უბნების ბათილობის თაობაზე - ძირითადად ასეთ შინაარსს ატარებდა ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას შესული საჩივრები.

ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ სულ 20-მდე საჩივარი განიხილა. საჩივრების უმეტესობა ორი არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციის (საიას ქუთაისის ფილიალი და „სამართლიანი არჩევნების“ ქუთაისის ორგანიზაცია) მიერ იქნა დაწერილი. რომელთა განხილვის შედეგად, მოთხოვნის მიუხედავად, არცერთი უბნის ბათილობა არ დამდგარა, მათი უსაფუძვლობის გამო. თუმცა, საჩივრების უმეტესობა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც ძირითადად, დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებით შემოიფარგლა.

ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესული 20-მდე საჩივრიდან 9 პოლიტიკური პარტიების (8 - „ქართული ოცნება“, 1 - „თავისუფალი საქართველო“) დამკვირვებელთა მიერ იქნა დაწერილი.

საოლქოში შესული საჩივრებიდან - 4 განუხილველი დარჩა.

„ინფორმაციის დონეზე იყო შემოსული ზოგიერთი საჩივარი, რომ უბანზე რაღაც დარღვევას ქონდა ადგილი. თუმცა, დამკვირვებელს თავის საჩივარში მოთხოვნა არ ქონდა დაფიქსირებული, რის გამოც ისინი გა-

ნუხილველი დარჩა“, - განმარტავს ქუთაისის № 59-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ოსეფაიშვილი.

ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივრების მიღება ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში დაიწყო. სხვადასხვა სახის დარღვევებზე ოლქში წინასაარჩევნო პერიოდში 4 საჩივარი იქნა განხილული, რომელთაგან მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა. ეს უკანასკნელი ამომრჩეველთა სიებში არსებულ ხარვეზებს ეხებოდა.

„წინასაარჩევნო პერიოდში საჩივრები შემოვიდა ძირითად საუბნო საარჩევნო კომისების მუშაობასთან დაკავშირებით. 4 საჩივრიდან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ერთი საჩივარი, რომელიც „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“ მიერ იყო შემოტანილი. პარტია ხმის მიცემას ითხოვდა იმ პირებისთვის, რომლებიც წინასწარი დაკავების იზოლატორში იყვნენ,“ - ამბობს ავთანდილ ოსეფაიშვილი.

თვით კენჭისყრის დღეს, 1 ოქტომბერს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაციები საარჩევნო უბნებზე დარღვევებისა და დაპირისპირების თაობაზე, საოლქო კომისიაში სულ 11 საჩივარი იქნა შესული. რომელთაგან ერთი საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების დღესვე, საგანგებო რეჟიმში განიხილა. დამატებით 3 საჩივარი, საოლქო საარჩევნო კომისიაში 2 ოქტომბერს შევიდა. სამივე - საიას ქუთაისის ფილიალის მიერ.

„არჩევნების დღეს, ფორმალურში განვიხილეთ მხოლოდ

ერთი საჩივარი“, რომელიც ეხებოდა №25-ე საარჩევნო უბნიდან გამოძევებული პარტიის წარმომადგენლის უბანზე დაბრუნებას. ჩვენ გავაუქმეთ საუბნო კომისიის გადაწყვეტილება და პარტიის წარმომადგენელი დავაბრუნეთ უბანზე, თუმცა მას მიეცა გაფრთხილება,“ - ამბობს ავთანდილ ოსეფაიშვილი.

ქუთაისში კენჭისყრის დღეს დაფიქსირებულ დარღვევებზე შედგენილი საჩივრების განხილვა საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნებიდან მეორე დღესვე დაიწყო.

საჩივრების განხილვას კომისიის 13-ვე წევრი და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2 ოქტომბერს, ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ 8 საჩივარი განიხილა, ძირითადად, პროცედურულ დარღვევებზე. ერთ-ერთი მათგანი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარი იყო, რომლითაც ორგანიზაციის დამკვირვებელი ქუთაისის №95 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის რომელიმე ფორმის დაკისრებას ითხოვდა. რადგან აღნიშნულ უბანზე ხმა იმ პიროვნებამ მისცა, რომელიც ამომრჩეველთა სიის მიხედვით საკონსულტოში აღრიცხვავზე იმყოფებოდა. თუმცა პიროვნება აცხადებდა, რომ საქართველოში ერთი წლის წინ დაბრუნდა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ აღნიშნული საჩივარი დაკმაყოფილა. კომისიის გადაწყვეტილებით, საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს გაფრთხილება მიეცა.

# პასუხისმგებლობა დისციპლინარული ფორმით

ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიამ 3 ოქტომბერს კიდევ სამი საჩივარი განიხილა. სამივე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალის მიერ იყო შესული საოლქო კომისიაში. საჩივრების განხილვას, ასევე, კომისიის სრული შემადგენლობა (13 წევრი) ესწრებოდა.

სამი საჩივრიდან საოლქომ სრულად არცერთი არ დააკმაყოფილა.

საიას ქუთაისის ფილიალის დამკვირვებლის პირველი საჩივარი ქუთაისის №105 საარჩევნო უბანზე დაფიქსირებულ დარღვევას შეეხებოდა. რომლის მიხედვით, კენჭისყრის დროს, ამომრჩეველს კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, სადამკვირვებლო ორგანიზაცია „დემოკრატიული ქსელის“ წარმომადგენელმა ბიულეტენი ხელიდან წართვა და ნახა, ვის მისცა ხმა.

საია აღნიშნული უბნის თავმჯდომარის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას და სამაკვირვებლო ორგანიზაციის მიმართ ვარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვდა, თუმცა საოლქო კომისიამ პირველი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, მხოლოდ სადამკვირვებლო ორგანიზაციას გაეგზავნება სარეკომენდაციო წერილი არაკვალიფიციური დამკვირვებლის გამო. რადგან კომისიის სხდომაზე, ჩანაწერთა წიგნის გახსნის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარეს ჩანაწერი გაკეთებული ქონდა.

„ჩვენ არ ვეთანხმებით საოლქოს გადაწყვეტილებას. რადგან ერთი, რომ დამკვირვებელმა დაარღვია ამომრჩევლის უფლება. მაგრამ, კომისიას შეეძლო მაშინვე გამოეძეებინა ის დამკვირვებელი, რაც არ გააკეთეს“ - აცხადებს საიას ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, ნოდარ ჯიქია.

ქუთაისის საოლქო საარჩევნო

კომისიამ, ასევე, ნაწილობრივ დააკმაყოფილა საიას მეორე საჩივარი, რომელიც №110 საარჩევნო უბანზე მომხდარ ფაქტს ეხება.

საჩივრის მიხედვით, ხმის დათვლის პროცესში აღმოჩნდა, რომ კონვერტში ბიულეტენის ნაცვლად ორი ცალი გაურკვეველი ფურცელი იყო ჩადებული. საიას დამკვირვებელს კი არ მიეცა შესაძლებლობა აღნიშნული ფაქტის გამო ჩანაწერთა წიგნში განეხილული იყოს ჩანაწერი. საიას დამკვირვებელი თავისი საჩივრით, საუბრო კომისიის თავმჯდომარის, მდივნის და ყუთზე ზედამხედველი პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვდა. თუმცა, საოლქოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ მდივანს მიეცა გაფრთხილება.

არ დაკმაყოფილდა საიას მესამე განცხადება საჩივარი, რომელიც №127-ე საარჩევნო უბანზე ლუქის ნომრების არევის ფაქტს ეხებოდა, რის გამოც საია უბნის შედეგების ბათილად ცნობას ითხოვდა. კერძოდ, ყუთზე არსებული ლუქის ნომერი არ ემთხვეოდა მიღება-ჩაბარების აქტში არსებულ ნომრებს.

თუმცა, საჩივრის განხილვის პროცესში, ჩანაწერთა წიგნის გახსნის შემდეგ, გაირკვა, რომ ყუთზე არსებული ლუქის ნომერი ემთხვეოდა ჩანაწერთა წიგნში არსებულ ნომრებს.

საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ლუქის ნომერთად დაკავშირებით იყო ტექნიკური ხარვეზი, მოხდა ნომრების არევა, რაც არ არის უბნის ბათილად ცნობის საფუძველი.

„ამ უბანზე თუ არეულია ნომრები, ფაქტია, რომ სხვა უბანზეც უნდა აღმოჩენილიყო მსგავსი დარღვევა. ამას პრევენციული ხასიათი უნდა ქონდეს, რომ შემდგომში მიექცეს ყურადღება ლუქის ნომრების გაცემის პროცესს,“ - განაცხადა საიას ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორმა ნოდარ ჯიქიამ. სულ საიას ქუთა-

ისის ფილიალის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში 10-მდე საჩივარი იქნა დაწერილი.

ნოდარ ჯიქია აცხადებს, რომ არსებული საჩივრების გარდა, გაცილებით მეტი დარღვევა გამოიკვეთებოდა, რომ გახსნილიყო ყველა საარჩევნო უბნის ჩანაწერთა წიგნი, რაც მათი მოთხოვნა იყო.

„ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ, შედეგები ისე არ შეჯამებულიყო, ვიდრე არ იქნებოდა ყველა ჩანაწერთა წიგნი გახსნილი და განხილული ყველა ის საჩივარი, რომლებიც ჩანაწერთა წიგნში იქნებოდა დატოვებული,“ - აცხადებს ნოდარ ჯიქია.

აღნიშნულ მოთხოვნას მხარს „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელიც უჭერდა. თუმცა, საოლქო კომისიამ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საოლქო საარჩევნო კომისიაში განმარტეს, რომ ყველა უბნის ჩანაწერთა წიგნის გახსნის საჭიროება და აუცილებლობა არ არსებობდა.

ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესული საჩივრების პარალელურად, დარღვევები გამოიკვეთა საარჩევნო უბნებიდან შემაჯამებელი ოქმების მიღების პროცესში. აღნიშნული დარღვევები საიასა და „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლებმა დააფიქსირეს და მათზე სათანადო რეაგირება მოითხოვეს.

ერთ-ერთი ასეთი დარღვევა, რომელიც ქუთაისის №57-ე საარჩევნო უბანს შეეხებოდა, საოლქო კომისიამ, 3 ოქტომბერს, საჩივრებთან ერთად განიხილა. საუბარი ეხება ქუთაისის №57-ე საარჩევნო უბანზე დაკარგულ მაჟორიტარების შეუფასებელ შემაჯამებელ ოქმს, რის გამოც უბანზე მაჟორიტარული ხმები შემაჯამებელ ოქმში ვეღარ მოხვდა.

საოლქო კომისიის სხდომაზე №57-ე საარჩევნო უბნის თამჯდომარემ და წევრებმა განმარტეს, რომ მათ არ იცინან, სად გაქრა ცარიელი შემაჯამებელი

ოქმი. თუმცა იმის გამო, რომ უბანზე მიღებული მაჟორიტარული ხმების შედეგს კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა, საოლქო კომისიამ ხმები არ გააბათილა. სამაგიეროდ, საუბრო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს საყვედური მისცეს.

საოლქო საარჩევნო კომისიაში №57 უბნის მსგავსად, ხარვეზიანი შემაჯამებელი ოქმები სხვა საარჩევნო უბნებიდანაც (10-მდე საარჩევნო უბანი) შევიდა. რომელთაგან ზოგიერთზე ბალანსი არ ღებოდა, ზოგან კი შემაჯამებელ ოქმებს არ ჰქონდათ ბეჭდები.

თუმცა, კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ოქმებზე არსებული დარღვევები ტექნიკური ხარვეზები იყო, რაც ჩანაწერთა წიგნის გახსნის შემდეგ დადასტურდა. რის გამოც, ხმების თავიდან გადათვლა აღარ გახდა საჭირო. თუმცა, აღნიშნულ საუბრო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს და მდივნებს დისციპლინარული პასუხისმგებლობა დაეკისრა, შენიშვნის და გაფრთხილების სახით.

გარდა ამისა, საიას ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლის ნოდარ ჯიქიას მოთხოვნით, დისციპლინარული პასუხისმგებლობა დადგა ყველა იმ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის მიმართ, რომელთაც, შემაჯამებელი ოქმების ჩაბარების დროს, ჩანაწერთა წიგნები არ ქონდათ დალუქული. ასეთი 127 საარჩევნო უბნიდან 64 უბანი იყო.

ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავიდან გადაითვალა მხოლოდ ერთი საარჩევნო უბნის მონაცემები. №88-ე უბანზე დისბალანსი იყო პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში, სადაც 4-ით მეტი ბიულეტენი დაფიქსირებული ამომრჩეველთა რაოდენობასთან შედარებით. თუმცა, სიებში ხელმოწერების გადათვლის შემდეგ, გაირკვა, რომ ცდომილება ტექნიკური ხარვეზი იყო.

„ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრების განხილვის პროცესი დასაბუთებულად წარიმართა. ყველა დარღვევას ახსნა მოეძებნა, რადგან ძირითადად იყო ტექნიკური ხარვეზები. რის გამოც, ჩვენს მიერ საარჩევნო უბნებზე დაწერილი 4 საჩივრიდან ერთი აღვიღვე დაკმაყოფილდა და საოლქოში აღარ გავგისაჩივრებია. ორ

უბანზე არსებული დარღვევა, ასევე ტექნიკური ხარვეზი აღმოჩნდა და ამიტომ საჩივარი გამოვიტანეთ. საოლქომ ჩვენი მხოლოდ ერთი საჩივარი განიხილა, რომელიც დააკმაყოფილა“, - ამბობს „სამართლიანი არჩევნების“ ქუთაისის ოლქის კოორდინატორი გიგა მელქაძე.

საიას ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი ნოდარ ჯიქია ამბობს, რომ მათ მიერ შემუშავდება რეკომენდაციები, საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით. ნოდარ ჯიქიას განცხადებით, ასევე, აუცილებელია, გადაიხედოს სატრენინგო სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება საარჩევნო კომისიის წევრების გადამზადება.

„ყველა უნდა მომზადდეს თანაბრად. რადგან ამ არჩევნებზე შედეგად მივიღეთ ის, რომ ქუთაისის 127 საარჩევნო უბნიდან ნახევარს სხვაგვარად ქონდა ტრენინგი გავლილი და მათი დოკუმენტაციაც წესრიგში ქონდა. ნაწილს კი სხვა რამ ასწავლეს და გაირკვა, რომ 64 საარჩევნო უბანს არ ქონდა სრულყოფილად დალუქული დოკუმენტაცია,“ - აცხადებს ნოდარ ჯიქია.

„განსაკუთრებულად მძიმე არცერთი საჩივარი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში იყო მოთხოვნა უბნის ბათილად ცნობის თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, უსაფუძვლობის გამო. საოლქო საარჩევნო კომისიაში გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად არ მიიღება. შემოსული საჩივრების მიხედვით კი მინდა ვთქვა, რომ როგორც კომისიის წევრების პროფესიონალიზმი, ასევე, დამკვირვებლის პროფესიონალიზმი საჭიროებს გაზრდას. საჭიროა რაღაც სისტემა დაინერგოს და რეკომენდაციები არ უნდა დარჩეს მხოლოდ რეკომენდაციების დონეზე“ - ამბობს ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვეთანდის ოსეფაიშვილი.

ქუთაისის საარჩევნო ოლქში დაფიქსირებულ დარღვევებზე შედეგითი საჩივრების განხილვა საოლქო საარჩევნო კომისიაშივე დასრულდა. არცერთი მათგანი არც ზემდგომ ორგანოში (ცესკო) და არც სასამართლოში არ გასაჩივრებულა.



საჩივარი # 004

საჩივრის შემოტანის თარიღი:	29 სექტემბერი, 2012
საჩივრის შემომტანი:	საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი საოლქო საარჩევნო კომისიაში, "კახა ვუკვა - თავისუფალი საქართველო", ანრილ არაბიძე
საჩივრის კატეგორია:	ამომრჩეველთა სივრცის დაკავშირება
საჩივარი:	მოთხოვნილია მსს-ს მოვარე საპარტელოში, წინასწარი დაკავების ადგილებში მყოფი პატიმრებისათვის, ხმის მიცემის უფლების განხორციელება
ორიგინალები:	

**საჩივრის განხილვა**


განხილვის ადგილი: №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია

განხილვის თარიღი და დრო: 29 სექტემბერი, 2012 18:00


**გადაწყვეტილება**

შედეგი: ნაწილობრივ დაკმაყოფილდა

გადაწყვეტილება: საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის „ლ“ პუნქტის 31 მუხლის 10-ე პუნქტის 33 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ პუნქტის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საარჩევნო კომისიის მიერ მოთხოვნილი პასუხისმგებლობის დაკისრება.



The United Nations Democracy Fund



სტატია მომზადებულია გეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გეროთიანებული ერების ორგანიზაციისა და გეროთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.